IBSU
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი
განათლების მეცნიერებაპროგრამა

მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტი როგორც საშუალო სკოლის მოსწავლეთა თვითრეალიზების ხელშემწყობი ფაქტორი (საქართველოს მაგალითზე)

ნანა ალექსიძე
სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი განათლების მეცნიერებაში

თბილისი, 2020

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ნინო თვალთჭრელიძე

(სახელი, გვარი)

ასოცირებული პროფ. დოქ., შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

(აკადემიური წოდება)

დოქ. ჯეიქობ რეიდ

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

1. **ნათელა დოღონაძე , პროფესორი, დოქტორი**
2. **მაია ჩქოტუა, ასოც. პროფესორი, დოქტორი**

ოპონენტები:

1. **პროფესორი, დოქტორი მარინე ჩაგელიშვილი**
2. **ასოც. პროფესორი, დოქტორი თამარ მიქელაძე**

შესავალი

თანამედროვე რეალობაში საგანმანათლებლო სისტემა მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. 21-ე საუკუნის ტექნოლოგიურად განვითარებულმა მსოფლიოს აჩქარებულმა ტემპმა კონკრეტული და საჭირო მოთხოვნები წაუყენა თანამედროვე საზოგადოებას და მის თითოეულ წევრს და ინდივიდს. ამ მოთხოვნებისა და გამოწვევების დაკმაყოფილების აუცილებლობამ საჭირო გახადა გარდაუვალი ცვლილებების გატარება ყველა სფეროში და განსაკუთრებით განათლების სფეროში. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით განათლების მესვეურებმა დაიწყეს გადხედვა და დადგენა იმისა, თუ რამდენად რელევანტური და შესაფერსი იყო 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო მოთხოვნებთან,ის არსებული ტრადიციული სწავლების მეთოდები, რასაც ისინი სასწავლო პრაქტიკაში ახორციელებდნენ. თანამედროვე ადამიანის იმიჯი, მასლოუს მიხედვით (Maslow, 1970) უნდა აკმაყოფილებდეს იმ თვისებების ერთობლიობის გამოხატვას, რაც ახლავს 21-ე საუკუნის მსოფლიო რეალობის გამოწვევებს. ეს ის გამოწვევებია, რომელიც მოსწავლეებს აყენებს იმ აუცილებლობის წინაშე, რომ განავითარონ და შეიძინონ ახალი დ საჭირო უნარ-ჩვევები წარმატების მისაღწევად და დაძლიონ არა მხოლოდ მათ წინაშე არსებული პრობლემები, არამედ სამომავლო გამოწვევებიც. როგორც ამას ბოლი, ჯოისი და სხვები (Ball, Joyce, & Anderson-Butcher, 2016) აცხადებენ, ამ საუკუნის მოსწავლე აღარაა პასიური და მხოლოდ ინფორმაციის მიმღები, თანამედროვე მოსწავლეს სჭირდება უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ინფორმაციის მიღებაა, მას სწრდება, იყოს აქტიური და აქტუალიზებული, რასაც ის (მოსწავლე) მიაღწევს ფასილიტატორი მასწავლების დახმარებით, რომ შეიძინოს ყველა საჭირო უნარი და განავითაროს ყველა აუცილებელი თვისება თვითაქტუალიზებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელი გადის შემდეგ საფეხურებს:

- მოსწავლეთა სტიმულირება;
- მოსწავლეთა აქტუალიზება;
- მოსწავლეთა თვითრეალიზება, რათა მათ განავითარონ პოტენციალი.

პრობლემა

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა. მისი მრავალ-ეთნიკურობა აუცილებელს ხდის, რომ განათლების სისტემაში იყოს გათვალისწინებული მრავალეთნიკური მოსახლეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობა. თვითაქტუალიზება მიიჩინევა ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათი მოტივაციის შექმნას, ამაღლებას, წახალისებას და მათ მზაობას, რომ იყვნენ უფრო თვითაქტუალიზებულნი და ავტონომიურნი, როგორც მოსწავლეები და როგორც დამოუკიდებელი პიროვნებები. მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტი ზრდის მოსწავლეების თვითაქტუალიზების დონეს და ხელს უწყობს მათ აქტიურ და სრულ ჩართულობას საკლასო და საგანმანათლებლო პროცესში მათი სამომავლო თვითრეალიზების მიზნით.

სიახლე

კველვის სიახლედ მიიჩნევა თვითაქტუალიზების, როგორც ტერმინის აქტიური და ხაზგასმითი გამოყენება საქართველოს საგანმანათლებლო რეალობაში და ასევე არა მხოლოდ გამოყენება, არამედ ამ ტერმინის (თვითაქტუალიზება)დანერგვაც განათლების სფეროში. დისერტაციის კვლევა მიზნად ისახავს, დაადგინოს საქართველოს განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა და მასში მიმდინარე პროცესები, რომლის საფუძველზეც შეიქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის მოდელი, როგორც ხელშემწყობი სახელმძღვანელო მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლებისათვის.

თეორიული ღირებულება

დისერტაციის თეორიული საფუძვლებია:

- ჰუმანისტური ფსიქოლოგია(Maslow, 1970; Rogers, 1969);
- მიზნის თეორია (Goldberg, 2001);
- მოსწავლეზ ორიენტირებული სწავლის თეორია (Bishop, 2014; Brown Wright, 2011; Doyle, 2008; Moate & Cox, 2015; Weimer, 2002)

- გონების(ტვინის) თეორია (Zull, 2002);
- თვითაქტუალიზების თეორია (Johnson, 2003; Levin, 1977; Maslow, 1970);
- კონსტრუქციული ფსიქოლოგია (Barlette, 1932; Driscoll, 2005; Oliver, 2000; Piaget, 1977; Tam, 2000) და კოგნიტური ფსიქოლოგია (Eisenck & Keane, 2015; Mayer & Moreno, 2003), Neisser, (1967 / 2014)
- თანამშრომლობით და კოოპერატიული სწავლების თეორია (Albert, 1996; Jacobs, 2015);
- მრავალ-კულტურული განათლების თეორია(Ebecly et al., 2010; Ford, 2005; Hughes, Page, & Ford, 2011Richardson & Dinkins, 2014; Schults, Hurt, & Lindo, 2014; Tomlinson, et al., 2003);
- მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების მენეჯმენტის თეორიები Brophy, 1999; Bush & Bell, 2002; Freiberg et al, 2009; VanHousen, 2013).

დისერტაციის თეორიული ღირებულება დაკავშირებულია ამ თეორიების ერთობლივ ანალიზში მოსწავლეზე-ორიენტირებული საკლასო მოდელის შემუშავების მიზნით, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითაქტუალიზაციას.

პრაქტიკული ღირებულება

დისერტაციას გააჩნია პრაქტიკული ღირებულება, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მათი მასწავლებლებისათვის. პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს კველვის პროცესში მიღწეული აღმოჩენების შინაარსში, რომ:

- დაადგინოს საქართველოს საშუალო სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები;
- აამაღლოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ცნობიერება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობის შესახებ;
- შექმნას ხელშემწყობი საფუძველი და პირობები, მკლევარის მიერ შექმნილი მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯემენტის მოდელის გამოყენებისა და დანერგვისათვის;

- წაახალისოს მოსწავლეები თვითაქტუალიზების პროცესის მეშვეობით იყვენენ უფრო თავდაჯერებულნი, დაინტერესებულნი და სრულად ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში.

მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის პრაქტიკაში განხორციელება და მისი ეფექტურად დანერგვა ხელსშეუწყობს არა მხოლოდ მოსწავლეთა თვითაქტუალიზების წარმატებულ პროცესს, არამედ განხორციელებას იმ საბოლო მიზნისაც, რასაც მოსწავლეთა თვითრეალიზება ჰქვია. თვირელიზებული მოსწავლე შეძლებს, იყოს უფრო მეტად თავდაჯერებული და პიროვნულად განვითარებული, როგორც დამოუკიდბელი ინდივიდიც და როგორც დემოკრატიული საზოგადოების რეალიზებული წევრი. ეს პროცესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ასევე ქვეყნის (საქართველოს) დემოკრატიზაციაშიც.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია დაადგინოს:

1. რა გავლენა და შედეგები შეიძლება ჰქონდეს მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის განხორციელება / დანერგვას საშუალო სკოლის მოსწავლეთა თვითაქტუალიზებაში.
2. როგორია საქარველოს სკოლებში საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ცნობიერების დონე მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის შესახებ და როგორ აფასებენ ისინი მენეჯმენტის ამ ფორმას.

კვლევის მეთოდები

მკვლევარმა გამოიყენა კვლევის შემდეგი მეთოდები:

1. თემატიკაზე ფოკუსირებული ლიტერატურის ანალიზი და განხილვა;
2. გამოკითხვის ჩატარება საქართველოს 8 სკოლის (კერძო და საჯარო) მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან სპეციალურად შედგენილი კითხვარის მეშვეობით, რათა მათ (მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა) შეაფასონ კითხვარში არსებული თითოეული ფაქტორის მნიშვნელობა;
3. კვაზი ექსპერიმენტი;

4. ექპერიმენტის წინა და ექსპერიმენტის შემდგომი (მოსწავლეთა თვითაქტუალიზების დონის განმსაზღვრელი მკვლევარის მიერ სპეციალურად შედგენილიკითხვარის მეშვეობით) გამოკითხვა ორივე მონაწილე სკოლის (თბილისის კერძო და გორის საჯარო) ორივე ჯგუფში (საკონტროლო და ექსპერიმენტული);
5. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ საექსპერიმენტო ჯგუფის ორივე სკოლის მოსწავლეებთან და მათ მასწავლებლებთან ექსპერიმენტის ფარგლებში;
6. კვაზი ექსპერიმენტი და მოპოვებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

კვლევითი კითხვები

კვლევა ემსახურება, პასუხი გაეცეს ქვემოთ ჩამოთვლილ შემდეგ კითხვებს:

1. **მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის რა ფაქტორები უწყობს ხელსმოსწავლეთა თვითაქტუალიზებას?** ეს დადგინდება ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით მოსწავლეებსა და მათ მასწავლებლებთან, თვისობრივი კვლევის საფუძველზე; თითოეული ფაქტორის მნიშვნელობის დონე გაიზომება ლიკერტის შკალის მეშვეობით რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე.
2. **რა როლი აქვს სკოლას და საკლასო მენეჯმენტს მოსწავლეთა თვითაქტუალიზებაში?** ეს დადგინდება ნახევრად სტრუქტურირებული/თვისობრივი კვლევის (ინტერვიუს) მეშევობით მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან.
3. **არის თუ არა ფასილიტატორული სწავლება ხელშემწყობი ფაქტორი საშუალო კლასის მოსწავლეთა თვითაქტუალიზებისავის?** ამ კითხვას პასუხს გასცემს იმ შედეგების ანალიზი, რაც მიღებული იქნება ექსპერიმენტის დროს და ასევე ექსპერიმენტის წინა და ექსპერიმენტის შემდგომი გამოკითხვის შედეგებით, საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში ორივე მონაწილე სკოლაში (თბილისი, გორი)
4. **რა ურთიერთკავშირია მოსწავლეთა თვითაქტუალიზებასა (ჰუმანისტური განათლება) და მოსწავლეზე ორიენტირებულ სწალებას შორის?** ეს დადგინდება ექსპერიმენტის შედეგების ანალიზით და ასევე ექსპერიმენტის წინა და შემდგომი გამოკითხვების პასუხების სტატისტიკური ანალიზით.

5. **არის თუ არა ხელშემწყობი და ეფექტური ის სასწავლო და მრავალფეროვანი აქტივობები, რასაც ფასილიტატორი მასწავლებელი იყენებს სწავლების პროცესში, რათა მიღწეულ იქნას ეფექტური მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის ჩამოყალიბება, მოსწავლეთა თვითაქტუალიზებისა და მათი (მოსწავლეების) სამომავლო თვითრეალიზების მიზნით?** ეს დადგინდება ექსპერიმენტის შედეგების ანალიზით და ასევე ექსპერიმენტისწინა და შემდგომი გამოკითხვების პასუხების სტატისტიკური ანალიზით და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით.

6. **არის თუ არა ეფექტური საშულება ის გზა, რომ თვითრეალიზებული, დამოუკიდებელი მოსწავლის და ავტონომიური მკლევარის უნარების გამომუშავება/განვითარებით და პიროვნული ზრდის პროცესის მეშვეობით, მიღწულ იქნება მოსწავლეთა თვითაქტუალიზაცია?** ეს დადგინდება ექსპერიმენტის შედეგების ანალიზით და ასევე ექსპერიმენტისწინა და შემდგომი გამოკითხვების პასუხების სტატისტიკური ანალიზით და ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით.

7. **როგორია საქართველოს სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა ცნობიერების დონე მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტისა და საშუალო სკოლის მოსწალეთა თვითაქტუალიზების მნიშვნელობის აუცლებლობის შესახებ?** ეს კითხვა პასუხგაცემულ იქნება იმ შედეგების ანალიზით, რასაც მივიღებთ დისერტაციის კვლევის პირველ ეტაპზე საქართველოს 8 სკოლაში ჩატარებული გამოკითხვის მეშვეობით.

8. **როგორია თვითაქტუალიზების დონე საშუალო სკოლის მოსწავლეებში საქართველოს სკოლებში?** ეს დადგინდება ექსპერიმენტის შედეგების ანალიზით და ასევე ექსპერიმენტისწინა და შემდგომი გამოკითხვების პასუხების სტატისტიკური ანალიზით და ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით და ასევე იმ შედეგების ანალიზით, რასაც მივიღებთ დისერტაციის კვლევის პირველ ეტაპზე საქართველოს 8 სკოლაში ჩატარებული გამოკითხვის მეშვეობით.

ჰიპოთეზა

მასწავლებელი, რომელიც ფასილიტატრული სწავლების პროცესში ხშირად გამოიყენებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიებსა და ტექნიკებს, აირჩევს მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ძირითად მიმართულებას, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვითაქტუალიზების დონის ამაღლებას და გამყარებას. ამისათვის ფასილიტატორი მასწავლებელი დგამს შემდგე ქვემოთ ჩამოთვლილ ნაბიჯებს:

- ატარებს მოსწავლეთა მოთხოვნების ანალიზს;
- ნებას აძლევს მოსწავლეებს, ჰქონდეთ არჩევანის თავისუფლება საკლასო აქტივობებსა, სხვადასხვა სახის დავალებების ტიპებისა და სტილის შერჩევაში, იმდენად რამდენადაც ეს შესალებელია;
- ეხმარება მოსწავლეებს, დამოუკიდებლად დასახონ მიზნები, რომელიც იქნება რელისტური, ავთენტური და მიღწევადი;
- აძლევს მოტივაციას მოსწავლეებს, თავად დაგეგმონ და გაუკეთონ ორგანიზება საკუთარ სასწავლო პროცესს და სწავლის ფორმებს;
- ახალისებს მოსწავლეებს, მიიღონ მონაწილეობა ჯგუფურ და გუნდურ აქტივობებში, თანამშრომლობითი და კოოპერატიული სწავლების პირობებში, რათა მოსწავლეებმა განავითარეონ კომუნიკაციის და სხვა სოციალური უნარები;
- სტიმულს აძლევს გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბებას და ურთიერთ თანამშრომლური მიდგომების განვითარებას სწავლების პროცესში;
- ეხმარება მოსწავლეებს, დამოუკიებლად განავითარონ სასწავლო სტრატეგიები;
- იყენებს კრეატიულ, შემოქმედებით და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ სასწავლო აქტივობებს.

მოსწავლეზე ორიენტირებული ფასილიტატორული სასწავლო პროცესი მასწავლებლის მიერ მართული, ზრდის და აძლიერებს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ეს უნარებია, ის მთავარი ფაქტორები, რაც ხელსუწყობს აზრიანი სწავლების პირობებში მოსწავლეები იყვნენ უფრო აქტურად ჩართუოლნი სასწავლო პროცესში და ჰქონდეთ თვითაქტუალიზების მაღალი დონე.

თვითაქტუალიზებულ მოსწავლეებს შესწევთ უნარი ცნობიერი სწავლებისა, რაც ვლინდება მათ შესაძლებლობაში, რომ:

- თავად შეარჩიონ და დაგეგმონ სასწავლო მეთოდები და გზები;
- შეარჩიონ და გამოიყენონ ახალი და მათ სწავლაზე მორგებული მიდგომები;
- გაანალიზონ ეფექტურობა მათ მიერ შერჩეული მეთოდებისა;
- შეძლონ მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;
- ჰქონდეთ უნარი საკუთარი ემოციების კონტოლის, პრობლების გადაჭის, თვითანალზის და თვითშეფასების.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლისა, სამი თავისა, დასკვნისა და აპენდიქსებისაგან. პირველი თავი მოიცავს ლიტერატურის მომოხილვას და დისერტაციის თეორიულ ნაწილს. მეორე თავი ეხება რამოდენიმე პრაქტიკულ ასპექტს, რაც დაკავშირებულია მოსწავლეზე ორიენტირებულ საკლასო მენეჯმენტთან. მესამე თავი აღწერს მთლიანად კველვას, მის მეთოდოლოგიასა და სპეციფიკას. დისერტაცია შედგება 8 ფიგურისაგან, 16 ცხრილისაგან (დისერტაციაში) და 96 ცხრილისაგან (დანართში). დისერტაციას თან ერთვის 9 დანართი/აპენდიქსი.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა მოსწავლეზე ორიენტირებულ საკლასო მენეჯმენტსა და თვითაქტუალიზების კონცეფციის შესახებ

პირველი თავი ეფუძვნება მთლიანად ლიტერატურის მიმოხლივას და მოიცავს დისერტაციის თეორიულ ნაწილს. პირველ თავში გაერთიანებული ყველა ქვეთავი ავითარებს იმ ძირითად ქვემოთ ჩამოთვლილ კონცეფციას, რაც საფუძვლად უდევს მოსწავლეზე ორიენტირებულ საკლასო მენეჯმენტსა და მოსწავლეთა თვითაქტუალიზებას:

- მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება;
- მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტი;
- ჰუმანისტური განათლება;
- საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მათი მასწავლებლების თვითაქტუალიზება.

პირველი თავი აერთიანებს ყველა იმ კონცეფციას, რაც თეზისის ძირითად მიზანს უდევს საფუძვლად: **განახორციელოს ეფექტური მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის ფარგლებშიმოსწავლეთა თვითაქტუალიზების დონის გაზრდის მიზნით.** პირველი თავის ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ქვეთავი წარმოადგენს თეორიულ ბაზასა და საფუძველს იმ დაგეგმილი საკლასო აქტივობებისათვის, რაც უნდა განხორციელდეს კველივსა და მთლიანი ექსპერიმენტის პროცესში:

1.1. მოსწავლეზე ორიენტირებული კონცეფციის განვითრება;

1.2. მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის მახასიათებლები და მათი დეფინიცია;

1.3. მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის დადებითი მხარეები და გამოწვევები;

1.4. მოსწავლეზეორიენტირებული განათლების კონცეფციის თეორიული საფუძვლები;

1.4.1. ჰუმანისტური განთლება;

1.4.2. კოგნიტური და კონსტრუქციული ფსიქოლოგია, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება;

1.5. თვითაქტუალიზაციის დეფინიცია და არსი;

1.6. მოსწავლეზე ორიენტირებული სკალასო მენეჯმენტის სისტემის მოდელი;

1.6.1. კონსისტენტური/მდგრადი მენეჯმენტი და კოოპერატიული დისციპლინის პროგრამები განათლებაში;

1.6.2. კულტურულად აქცენტირებული სწავლება და კულტურის ასპექტების გათვალისწინება განათლებაში, როგორ მოსწავლეთა აქტუალიზების ხელშემწყობი ფაქტორი;

1.7. ასაობრივი თავისებურებები;

1.8. პირველი თავის ანალიზი.

თანამედროვე რეალობაში კარგ სწავლებაზე განათლების მესვეურთა შეხედულებები შეიცვალა. ისინი უფრო მეტად მოტივირებულნი გახდნენ, აირჩიონ ის მიდგომები და

სტრატეგიები, განახორციელონ ის აქტივობები, რომელიც ემყარება კოგნიტური და კონსტრუქციული სწავლების პრინციპებს. მათი ამ შეხედულებების ცვლილება გამოიხატა მასწვლებელზე ორიენტირებული ტრადიციული მიდგომის ჩანაცვლებით ახალი მიდგომით, რასაც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება და მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის შექმნა ითვალისწინებს. მოსწავლეზე ორიენტრებული სწვალება მოიცავს იმ კონცეფციას, რასაც ავითარებს ასევე ჰუმანისტური განთლება. ორივე მიდგომის შემთხვევაში, მთავარი ყურადღება ეთმობა მოსწავლეს, პიროვნებას, მოსწავლეს, როდესაც აქცენტი მთლიანად საგაკვეთილო პროცესში კეთდება მოსწავლეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და მათ სტიმულაციაზე, იყვნენ უფრო აქტიურნი და თვითაქტუალიზებულნი(Brophy, 1999; Dollard and Chris¬tensen, 1996; Garret, 2008).

ჰუმანისტური განათლების კონცეფცია და თვითაქტუალიზების განსაზღვრება

ჰუმანისტი მასწავლებლები დარწმუნებულებიარიან და სჯერათ, რომ მოსწავლეებისათვის ყველაზე მნიშველოვანია ის, რომ ისინი იყვნენ მოტივირებულნი და აქტიურად ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, დაინტერესებულნი იმ სასწავლო მასალით, რასაც სწავლობენ. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც შესასწავლი თემა არის სწორედ ის, რაც მოსწავლეებს აინტერესებთ, სჭირდებათ და აქვთ სურვილი რომ იცოდნენ. თვითაქტუალიზება ჰუმანისტური განათლების მიდგომის მიხედვით განიმარტება, როგორც პიროვნების პოტენციალის განვითარება შემოქმედებითობის, სპონტანურობისა და რეალური დროისა თუ თანამედროვე სამყაროს ავთენტურად აღქმის საშუალებით (Johnson, 2003; Levin, 1977; Maslow, 1970). თვითაქტუალიზება ესაა ის ფსიქოლოგიური პროცესი პიროვნებაში, რაც მისი პიროვნულ ზრდასა და სრულყოფას ემსახურება, როგორც პიროვნების შესალებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და გამოყენების გზით (Johnson, 2003; Levin, 1977; Maslow, 1970).

როგორც მოსწავლეებს სჭირდებათ ყველა საჭირო სასწავლო ტექნიკისა და სტრატეგიის ცოდნა, სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის, ასევე სჭირდებათ ინდივიდებსაც, იცოდნენ ყველა აუცილებელი მიდგომა და პრინციპი პიროვნული ზრდისათვის, რომელთა გამოყენებაც განავითარებს მათ უნარებს,

იყვნენ უფრო თვითაქტუალიზებულნი და თვითრეალიზებულნი (Maslow, 1970; Zull, 2002).

მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების ძირითადი კონცეფციები

მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო გარემოს შექმნა მასწავლებილისა და მოსწავლისაგან მოითხოვს აქტიურ ჩართულობას, იმაზე მეტის გაკეთებას, ვიდრე ეს არის დავალების მიცემისა და ამ დავალების შესრულების პროცესი. ეს გახლავთ აზრანი სწავლა/სწავლება. მოსწავლეზე ორიენტირებულ საგაკვეთილო პროცესში შესაძლებლობა ეძლევა ყველა მოსწავლეს, რომ გაითავისოს და გაანალიზოს საკუთარი როლი და საწავლო პასუხისმგებლობა მთელს საგაკვეთილო და საგანმანათლებლო პროცესში, დასახოს მიზნები და თავად შეარჩიოს ამ მიზნებისათვის საჭირო გზები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია დაბალანსირებული კონტროლი და ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. იყო ეფექტური მოსწავლეზე ორიენტირებული მასწავლებელი, ნიშნავს, განახორციელო ისეთი ფასილიტატორული საგაკვეთილო პროცესი, როდესაც ადგენ მოსწავლეთა საჭიროებებს, მოთხოვნებს და ამ მოთხოვნების შესასრულებლად იყენებ ყველა გამოცდილ და საჭირო საგანმანათლებლო პრინციპს, პარადიგმას, მიდგომას და მეთოდს, რომელიც ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს, რომ მიაღწიო მოსწავლეთა სტიუმულირებას, აქტიურ ჩართულობას მათი თვითაქტუალიზებისათვის.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მჭიდროდაა დაკავშირებული კოგნიტურ და კონსტრუქციულ ფსიქოლოგიასთან განათლებაში. კოგნიტური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე რთული და შეუძლებელია მოსწავლეებში ძირითადი სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარება და სტიმულირება. ადამიანის ცნობიერება უფრო მეტად პროაქტიულია ბუნებით, რაც წინსვლასა და განვითარებაზეა ორიენტირებული, ვიდრე პირიქით რეაქტიული.

კოგნიტური უნარები არის ერთგვარი სტიმულატორები გონების ეფექტური მუშაობისათვის და მისი მთავარი თვისებისათვის, მიიღოს და დაამუშაოს ინფორმაცია. ეს პროცსი ეფექტურია მაშინ, როდესაც მოსწავლეებს მოსწონთ სწავლის პროცესი და გამოხატავენ ღიაობას და მზაობას სწავლისათის. ზალის მიხედვით (Zull,

2002) ადამიანისათვის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, ის იყოს მუდმივი სწავლის პროცესში. ამ მდგომარეობის მამოძრავებელი ძალა არის ის მისწრაფებები, მიზნები და გეგემები, რასაც ადამიანი და ამ შემთხვევაში მოსწავლე, ისახავს და აყალიბებს და რაც თავისი ბუნებით არის პროაქტიული და მიმართულია მომავლისაკენ და არა წარსულისაკენ. ადამიანის აზროვნების პროცესში მიზნის დასახვის რეჟიმი არის ყველაზე უფრო მეტად მოქმედებაზე ორიეტირებული სხვა პროცესებთან შედარებით. მიზნის დასახვისა და შესრულბის რეჟიმი ადამიანში ავითარებს კონკრეტული აქტივობების დაგეგმვისა და შესრულების სტიმულირებას.

ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, გარდა იმისა, რომ განათლებაში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომაზე არჩევანის გაკეთებაა აუცილებელი და ამ მიგდომის ეფექტური განხორციელება, ასევე საჭიროა, პარალელურად იყოს გათვალისწინებული ის თავისებურებები რაც ქვეყანაშია, იგულისხმება მრავალ-ეთნიკურიბა, კულტურული და რელიგიური მავალფეროვნება. საქართველო დემოკრატიის გზაზე ახლად შედგარი და დემოკრატიულად ახალგაზრდა ქვეყანაა, რომლის განთლებაში მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე საუბარი დაახლებით 2000 წელს დაიწყო და ამ პერიოდშივე გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ მიდგომის განერგვასა და განხორციელებისთვის.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლეთა ეფექტური თვითაქტუალიზება, უნდა გაითვალისწინოს ადამიანის განვითარების ორი ძირითადი მხარე: ფიზიოლოგიური და ფსიქიკურ/სიქოლოგიური. მასლოუს (Maslow, 1970) თანახმად ეს ორი მთავარი და ძირითდი ასპექტი არის საფუძველი ადამიანის ყველა მოთხოვნისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მასწავლებელი, რომელიც ირჩევს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას ფასილიტატორული სწავლების გზით ცდილობს გაიგოს და გაითვალისწინოს მოსწავლეების სურვილი და საჭიროებები, შექმნას ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო საკლასო გარემო და ხელი შეუწყოს მოსწავლეების წახალისების გზით მათ თვითაქტუალიზებას და პიროვნებებად ჩამოყალიბების რეალიზებას. დაბალანსებული ძალთა გადანაწილება, დაბალანსირებული კონტროლი, თვით

გამოხატვა, აზრიანი სასწავლო პროცესი და საინტერესო სასწავლო მასალა, მეგობრული და ურთიერთ-გაგებაზე დამყარებული ურთიერთბა მოსწავლეებს და მასწავლებელს შორის, არის ყველა ის ფუნდამენტური ფაქტორი, რაც მოსწავლეების წახალისებას, მოტივაციის ამაღლებას და თვითაქტუალიზების პროცესის ეფექტურად წარმართვას უწყობს ხელს. ფიგურა 1.1 გვიჩვენებს ილუსრტირებულად მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და ჰუმანისტური განათლების ძირითადი პრინციების ურთიერთ-თანხვედრას.

ფიგურა 1.1. მოსწავლეზე-ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტისა და ჰუმანისტური განათლების პრინციების ურთიერთკავშირი



(შემუშავებულია მკვლევარის მიერ)

აქედან გამომდინარე შეიძლება შევაჯამოთ, თუ რას ეფუძვნება მოსწავლეზე-ორიენტიებული საკალსო მენეჯმენტი და ფასილიტატორული სწავლებით მოსწავლის თვითაქტუალიზების მიღწევა და რა ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი: მოსწავლეებისა და მასწავლების მიერ ერთობლივად შეიქმნას საკლასო გარემო, რომელიც ეფუძვნება ისეთ ურთიერთობებს, როგორიცაა: 1)თანაშრომლობა, ცოდნის

გაზიარება და ჯანსაღი კომუნიკაცია; 2) მოსწავლეების მხრიდან მზაობა აიღონ პასუხიმსებლობა საკუთარ სწავლაზე და გააცნობიერონ საკუთარი როლი ამ პროცსში; 3) მასწავლებლის მხრიდან დახმარება მოსწავლეების, რათა მათ დამოუკიდებლად შეარჩიონ სასწავლო სტრატეგიები და იყვენენ ავტონომიური უნარებით აღჭურვილნი. ეს ილუსტრირებულია ქვემოთ მოცემულ ფიგურაში.

ფიგურა 1.2. მოსწავლეზე-ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის ხელშემწყობი ფაქტორები

(შემუშავებულია მკვლევარის მიერ)

თავი 2. მოსწავლეზე-ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის ხელშემწყობი ფაქტორები

მეორე თავი იმ მეორადი მონაცემებისა და წყაროების ერთობლიობისაგან შედგება, რაც დაკავშირებულია მოსწავლეზე ორიენტირებულ საკლასო მენეჯმენტთან. ამ თავის შინაარსი გამოხატავს მოსწავლეთა განწყობასა და დამოკიდებულებებს მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის პირობებში ჩატარებული აქტივობების მიმართ. მეორე თავი და მასში შემავალი ქვეთავები მოიცავენ ინფორმაციას მოსწავლეზე ორიენტირებულ საკლასო მენეჯმენტთან დაკავშირებულ და მის ხელშელწყობ ფაქტორების ერთობლიობას და მოსწავლეების მიდგობას და დამოკიდებულებას ამ ფაქტორების მიმართ.

მეორე თავი აერთიენებს შემდეგ ქვეთავებს:

2.1. სასწავლო სოციუმის და კომუნალების შექმნა;

2.2. მოსწავლეთა პასუხისმგებლობის განაწილება;

2.3. მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯნემენტის პირობები;

2.4. კველვა, რომელიც ეხება მოსწავლეზე ორიენტირებულ საკლასო მენეჯემენტს;

2.5. მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯემენტის მოდელი;

2.6. მეორე თავის ანალიზი.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა და მათ შორის სკოლები საჭიროებენ, რომ იყვნენ უფრო თანამშრომლუები და სოციალურად რეაგირებადი. მოსწავლეების აქტუალიზებისათვის საჭიროა შეიქმნას უფრო ღია, მზრუნველი და ჯანსაღი ურთიერთობა. ეფექტური, მოსწავლეზე ორიენტირებული მასაწავლებელი ახორციელებს ისეთ ქმედებას და უზრუნველყოფს შექმანს ისეთი პირობები, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ უსაფრთხო და მისაღები საკლასო გარემო, იყვნენ ღია ყველა დისკუსიაში, გააჩნდეთ ურთიერთ პატივისცემისა და გაგების დიდი უნარი, იყვენენ გულწრფელნი და თავს გრძნობდნენ დაცულად და თავდაჯერებულად. იქიდან გამომდინარე, რომ ჰუმანისტური განათლება და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება, ორივე არის ფოკუსირებული პიროვნბაზე და ჩვენს შემთხვევაში მოსწავლეზე, მისი(მოსწავლიეს) საჭიროების გათვალისწინება - დაკმაყოფილებაზე, მათი (ჰუმანისტური და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების) პრიციპები მსგავისა და დიდწილად იდენტურ უნარებს ავითარებს მოსწავლეებში. ამ მსგავსებისა და ამ ორ მიდგომას შორის ლოგიკური კავშირის უკეთ დასანახად

წარმოდგენილია ცხრილი 2.1. რომელიც ასახავს თვითაქტუალიზებული ადამიანის თვისებებს ჰუმანისტური განათლების პირობებში და მოსწავლის განვითარებულ უნარებს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პირობებში:

ცხრილი 2.1. ჰუმანისტური განათლებისა და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ურთიერთდამოკიდებულება გამოხატული მოსწავლეებში განვითერებული კონკრეტული უნარ-ჩვევებით

თვითაქტუალიზებული ადამიანის თვისებები (Maslow 1970):	მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ხელსუწყობს (Doyle, 2008; Rogers, 1969; Weimer, 2002):
კრიტიკული და გლობალური აზროვნების უნარი	კრიტიკული და ჰოლსტიკური აზროვნების უნარი
მოტივირებული ცხოვრება რაოდენობრივი და თვისობრივი ღირებულებების გათვალისწინებით	არსებული რეალობის ავთენტური შეფასება
უნარი, იყო იდენტობის მატარებელი და განავითარო საკუთარი ინდივუალური სტილი	უნარი, იყო დამოუკიდებელი მოსწავლე და თვითმართული სწავლაში
უნარი, იყო სოციალური	უნარი, იყო ინტერპერსონალური და კომუნიკაბელური
უნარი, გქონდეს რეალობის და ცხოვრების ჯანსაღი აღქმა და შეგრძნება	უნარი, შეიგრძნო და აღიქვა სწორად ცხოვრების აზრი
საკუთარი პიროვნულობის ინდივიდუალურად განვითარების უნარი	უნარი,განავითარო თვითშეფასებისა და თვითმიმღებლობის შესაძლებლობები
შემოქმედებითობის უნარები	შემოქმედებითობის უნარები
ჯანსაღი და გააზრებული დამოკიდებულებადა აღქმა იმ კულტურისა, სადაც ისინი(მოსწავლეები) ცხოვრობენ	კუტურულად გულისხმიერი დამოკიდებულება და ჯანსაღი აღქმა მრავალკუტურული საზოგადოებისა
ადამიანიური ბუნებისადმი მიმღებლობა	ადამიანური ბუნების მიმართ მიმღებლობა, სოციალური უნარები და კოოპერატული და თანამშრომლური უნარები

ყველა იმ მიდგომის და თეორიის გათვალისწინებით და გაანალიზებით მკვლევარის მიერ შეიქმნა მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის მოდელი, რომელიც ემსახურება მოსწავლეების მოთხოვნის დადგენის საშუალებით, დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები. ამ მიზნის შესასრულებლად საკალსო მენეჯმენტის მოდელი მოიცავს რამოდენიმე ეტაპს ანუ საფეხურს.

პირველი ეტაპი ესაა, დადგინდეს მოსწავლეების სასწავლო და პიროვნული განვითარებისათვის საჭირო მოთხოვნები. ამ ეტაპზე მასწავლებელი იყენებს რამოდენიმე ხერხს:

- უსვამს შეკითხვებს პირდაპირ;
- ავსებინებს სპეციალურად შედგენილ კითხვარს;
- აკვირდება;
- არის თანამშრომლური;
- აკეთებს მოსწავლეების საჭიროებების ანალიზს და სახავს გეგმებს შემდგომი ეტაებისათვის.

ჩვენ შემთხვევაში პირველმა ეტაპმა დაადგინა საქართველოს მოსწავლეთა უმრავლესობის სურვილი იყვნენ თვითრეალიზებულნი.

მეორე ეტაპზე მასწავლებელი ირჩევს კონკრეტულ მიდგომებს და ამ მიდგომების პრინციპების ანალიზს აკეთებს. ჩვენს შემთხვევაში შერჩეულ იქნა მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენეტი და ჰუმანისტური განათლება. **შემდეგი ანუ მესამე ეტაპი ესაა განმახორციელებელი ეტაპი,** როდესაც მასწავლებელი შერჩეული მიდგომებისა და სტრატეგიების გათვალისწინებით ადგენს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას და აქტივობებს და პარალელურად ახორციელებს მათ. ჩვენს შემთხვევაში შედგა შედეგზე და საჭიროებაზე ორიენტირებული 12 საგაკვეთილო აქტივობა. თითოეული აქიტივობა ემსახურება კონკრეტულ მიზანს და ავითარებს კონკრეტულ უნარებს მოსწავლეებში, რაც საბოლოო ჯამში მოსწავლეთა თვითაქტუალიზაციას და მათი ცნობიერების ამაღლებას ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის აუცილებლობასთან მიმართებაში. ეს აქტივობებია წარმოდგენილი ცხრილში 2.2.

ცხრილი 2.2. საკლასო აქტივობების მოკლე აღწერილობა

#	**აქტივობები**	**აქტივობების მიზანი**
1	ფუდამენტური საკლასო წესების შექმნა	ავითრებს საკლასო მენეჯმენტის უნარებს
2	დისკუსიის და მსჯელობის უნარების განვითარება	დისკუსიის მართვისათვის ძირითადი წესების შექმნა
3	თანაკლასელების მართებულად შეფასების უნარი	პასიური მოსწავლეების გააქტიურება მეგობართან ერთად
4	თანამშრომლური ჯგუფური მუშაობები	ურთერთგაგების უნარების განვითარება
5	ლიდერის უნარების განვითარება	მეგობრისა და თანაკლასელს დახმარება სწავლის პროცესში
6	გუნდური მუშაობა და გუნდური სულისკვეთების დანერგვა	წახალისება კონკრეტულ ამოცანაზე გუნდურად მუშაობის უნარების განვითარებით
7	კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების განითარება	პრეზენტაციის შეფასების რუბრიკების შექმნა/ განვითარების უნარი
8	დამოუკიდებელიდა თვითმართული მოსწავლისათვის საჭირო უნარების განვითარება	განავითაროს დამოუკიდებელად კველევის და პრეზენტაციის გაძღოლის უნარი
9	პრობლემის გადაჭრის უნარები	გამოწვევების ამსახველი და პრობლემატური საკითხების დამაფიქსირებელი წერილის მიწერა სკოლის ადმინისტრაციისათვის ან იმ უფლებამოსილი პირებისათვის, ვისაც შეუძლია ამ პრობლემების მოგვარება
10	კულტურულად და სოციალურად გულისხმიერი და გამგები გარემოს შექმნა კლასში	სტიმულირება სოციალური და ურთიერთბითი ასპექტებისა შესაბამისი საკლასო აქტივობების ფარგლებში, როგორც სკოლაში ასვე სკოლის გარეთ
11	„მე რომ შემეძლოს“ ან/და „მე რომ ვიყო“ თამაშის თამაში	მოსწავლეების კრეატიულობისა და კრიტიკულად აზროვნების უნარების განვითარება, თვითშეფასების უნარები
12	პირადი და მეგობრის/თანაკლასელის შესახებ ინფორმაციის გაზიარება	გააქტიურება მოსწავლეების თვითშეფასების დონის, თავდაჯერებულობის, თვითმიმღებლობის და შემოქმედებითობის

მეოთხე ეტაპი არის მოსალოდნელი შედეგები და მათი ანალიზი. კანფილიდის თანახმად (Canfield, 1976), მოსწავლეთა თვითაქტუალზაციისთვის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი წინაპირობაა ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უმნიშვნელოვანესია ურთიერთგაგება, ერთმანეთის მხარდაჭერა, ზრუნვა, ორიენტირება პიროვნულ განვითარებაზე და მეგობართან/თანაკლასელთან თანამშრომლურ

დამოკიდებულებაზე. მოსწავლეებისთვის ყველაზე მთავარია ის ნდობა, რაც მათ აქვთ მასწავლებელის და მათი თანაკლასელების მიმართ და იმის შეგრძნება, რომ მიუხედავად შეცდომებისა, ისინი არ იქნებიან გაკრიტიკებულნი და პირიქით მათი ადგილი და როლი საკლასო ცხოვრებაში იქნება მიღებული და დაფასებული.

თავის 3. მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

მესამე თავი აერთიანებს შემდეგ ქვეთავებს:

1.1. კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია. მონაცემთა შეგროვება;

1.2. კვლევის კონცეფცია

1.3. კვლევის პროცედურა;

1.4. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი;

1.4.1. მოსწავლეზე ორენტირებუილი მენეჯმენტის შესახებ გამოკითხვა;

1.4.2. წინა საექსპერიმენტო გამოკითხვა და შედეგების ანალიზი;

1.4.3. ექსპერიმენტის შემდგომი გამოკითხვა და ანალიზი;

1.4.4. ექპსრიმენტის შემდგომი ინტერვიუ (ნახევრად სტრუქტურირებული) და ანალიზი;

1.5. ეთიკის საკითხები;

1.6. შეზღუდვები;

1.7. მესამე თავის ანალიზი.

კვლევა ემფუძვნება მონაცემთა შეგროვებისა და რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების შედეგების ანალიზს. იმისათვის, რომ არსებული კვლევა ყოფილიყო ობიექტური, საჭირო ახდა რაოდნობრივი კველევების ჩატარება კითხვარების მეშვეობით ლიკერტის შკალის საზომის გამოყენებით. კვლევაში ასვე იქნა გამოყენებული თვისობრივი კვლევის მეთოდები ინტერვიუს მეშვეობით, რომლის მიზანი იყო გაგვეგო კველვის მონაწილეთა ფსიქოლოგიური და ემოციური დამოკიებულება, მათი ინტლექტუალური აღქმა კველვისა და ექსპერიმენტის მიზანსა და განხორციელების ფარგლებში. ვინაიდან კველვა ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა თვითაქტუალიზება და მისი დონის (თვითაქტუალიზება) დადგენა, მათი საჭიროებების დაკმაყოფილება, ამ საკითხში თვისობრივი კვლევა მთლად ობიექტურად და გაზომვადად ვერ ასახავდა მოსწავლეთა მდგომარეობას და

დამოკიდებულებებს, ამიტომ გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევაც. თვისობრივი კვლევა კი ძირითადად ემყარება იმ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგებს, რაც ჩატარდა ექსპერიმენტის მონაწილე სკოლების მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა ღია კითხვარის საშუალებით ლიკერტის შკალის სისტემით და მისი სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS 21-ით. კვლევის მონაწილენი გახლდათ საშუალო სკოლის მოსწავლეები, დამამთავრებელი კლასის 16-18 წლამდე მოსწავლეები. კვლევაში მონაწილეობდნენ ორი სკოლის (თბილისის/დედაქალაქი კერძო და გორის/რაიონი საჯარო) საკონტროლო და საექსპერიმენტო გჯუფები. ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის კერძო და რეგიონის პატარა ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლე/მასწავლებლებმა. რაც შეეხება კვლევის პირველ ეტაპს, ის გახლდათ აღწერილობითი სახის რაოდენობრივი კვლევა და ასახავდა საქართველოს სკოლებში თვითაქტუალიზაციის და მოსწავლეზე ორიენტირებულობის შესახებ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების დონის განსაზღვრას საქართველოს მასშტაბით (მონაწილე 8 სკოლით: თბილისი ორი სკოლა კერძო და საჯარო; ბათუმის ორი სკოლა კერძო და საჯარო; გორის ორი საჯარო სკოლა; მცხეთის ერთი საჯარო სკოლა და სამცხის რაიონის, სოფელი ზვარეს ერთი საჯარო სკოლა). რაც შეეხება დისერტაციის კვლევის ყველა ეტაპს ის შემდეგია:

- აღწერილობითი რაოდენობრივი კველვა/გამოკითხვა საქრთველოს მასშტაბით
- ექსპერიმენტის წინა გამოკითხვა
- ექსპერიმენტი
- ექსპერიმენტის შემდგომი გამოკითხვა
- ექპერიმენტის შემდგომი ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ

კვლევის პირველი ეტაპი ემსახურება იმ შედეგების ანალიზისს, რომელიც ადგენს მოსწავლეების სასწავლო პასუხისმგებლობას, მათი თვითშეფასების უნარებს და მათი ცნობიერების დონეს მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის და მოსწავლეთა თვითაქტუალიზაციის შესახებ. კვლევის პირველი ეტაპის კითხვარის შედგენისას მკვლევარი დაეყრდნო უეიმერის მიერ (Weimer, 2002) შემუშავებულ მოსწავლეზე ორიენტირებული 5 ძირითდი ფაქტორის განსაზღვრას. ვინაიდან

კვლევა მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის ცნობიერების გარდა, ასევე ფოკუსირებულია, განსაზღვროს მოსწავლეთა თვითაქტუალიზების დონეც, უემერის 5 საპექტს კითვარის შედგენისას დაემატა მეექვსე ასპექტი თვითაქტუალიზების განმსაზღვრელი ასპექტი (Maslow, 1970). თითეული ასპექტი იზომებოდა 5 ფაქტორში.

მაგალითისათვის, პირველი ასპექტი **"ძალაუფლების ბალანსი კლასში"** იზომება 5 ფაქტორში: **სკლასო გარემო, სასწავლი მასალის მართებულობა მასწავლებლის აქტუალიზების დონე, საეთო მოტივაცია მოსწავლეების და მასწავლებლების მხრდან და სხვა სამომავლოდ სასურველად გამოსაწორებელი საკითხები.** უფრო დეტალურად ქვემოთაა ჩამოთვლილი 5 ფაქტორი, რომელიც გაიზომება 6 ასპექტში და რომელთა ერობლიობა და მიღებლი შედეგები ადგნეს მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების დონეს მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის მნიშვნელობასა და მათი თვითაქტუალიზების შესახებ:

5 ფაქტორი:

1. საკლასო გარემო
2. სასწავლი მასალის გადახედვა
3. მასწავლების თვითაქტუალიზების დონე
4. მოსწავლეთა ზოგადი თვითაქტუალიზებისა და თვითგამოხატვის დონე
5. სხვა სპეციფიკური გასაუმჯობესებელი საკითხები (უიემირი, 1988)

6 ასპექტი , რომელიც იზომება ზემოთ აღწერილ 5 ფაქტორში:

1. ძალთა /კონტროლის ბალანსი (5 შეკითხვა)
2. მასალის შინაარსი და ფუნქცია (5 შეკითხვა)
3. მასწავლებლის როლი (5 შეკითხვა)
4. მოსწავლეთა სასწავლო პასუხისმგებლობა (5 შეკითხვა)
5. შეფასების მიზეზი და მიზანი (5 შეკითხვა)
6. თვითაქტუალიზების ხარისხი (5 შეკითხვა)

ექვსივე ასპექტი სათითაოდ იზომება 5 ფაქტორში (5X6=30), რაც საერთო ჯამში გვაძლევს 30 შეკითხვას.

რაც შეეხება წინა და შემდგომ საექსპერიმენტო გამოკითხვას, ეს კითხვარი სრულად ეფუძვნება მოსწავლეთა თვითაქტუალიზაციის დონის განსაზღვრას ექსპერიმენტამდე და მის შედგომ. კითხვარი შედგება 21 კითხვისაგან, 7 ასპექტი (თითოეული 2 შეკითხვით) და 7 ფაქტორი (თითოეული 1 შეკხითვით) (2X14+7=21).

7 ასპქტი გახლავთ: **მოსწავლეთა თვითმიმღებლობა, ორგანიზებულბა, შინაგანი მოტივაცია, გამოცდილების მიმართ მზაობა, მოქნილობა, ავტონომიურობა,**

7 ფაქტორი: **ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური, სასწვლო, კულტურული, სოციალური, გარმოებრივი და ეკონომიკური.**

შემდგეომი ეტაპი გახლავთ საექპერიმენტო, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ექპსრიმენტი. ექსპერიმენტი ეფუძვნება იმ სასკოლო საგაკვეთილო აქტივობებს, რომელიც ხელსუწყობს მოსწავლეებში თვითაქტუალზების დონის ამაღლებას და შესაბამისი თვისებებისა და უნარების განვითარებას მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პირობებში (White & Sabarwal, 2014, p.1). ექსპერიმენტი ჩატარდა მხოლოდ ექსპერიმენტულ ჯგუფებში, ორივე მონაწილე სკოლაში: თბილისის კერძო და გორის საჯარო. ექსპერიმენტის მონაწელენი იყვენენ მე-11 კლასის მოსწავლეები. აქტივობების მიზანი და შინაარსი აღწერილია მეორე თავში(ცხრილი 2.2). ყველა აქტოვობას გააჩნია დეტალური აღწერა, სადაც გაწერილია არა მხოლოდ მათი დასახელება და მიზანი, არამედ მასწავლებლის როლიც და დავალებაც, მოსწავლეების როლიც და დავალებაც და მოსალოდნელი შედეგებიც (დისერტაციის დანარში #3 და #4). წინა და შემდგომი ექპსერიმენტული რაოდენობრივი კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი ხორციელდება შესაბამისი სოციოლოგიური კვლევის შედეგების სისტემით (SPPS 21).

დაჯამებული შედეგები, რომელიც მოპოვებულია კვლევის პირველი ეტაპიდან და განსაზღვრავს საქართველოს სკოლების (8 სკოლა) მოსწავლეებსა და მასწავლებლების ცნობიერების დონეს მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტისა და თვითაქტუალიზების აუცილებლობის შესახებ წარმოდგენილია ცხრლში 3.1.

3.1. **ცხრილი განსაზღვრავს საქართველოს სკოლების (8 სკოლა) მოსწავლეებსა ცნობიერების დონეს მოსწავლეზე-ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტისა და თვითაქტუალიზების აუცილებლობის შესახებ**

კატეგორია	მოსწავლეზე ორიენტირებული	მასწ. სრულად მართული	ბალანსის არ ქონა	სრულად
%	55%	42,5%	2,5%	100%

ამ ცხრილის მიხედვით მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 55 % თვლის, რომ მათი კლასი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, 42,5 % თვლის რომ მათ კლასებში არის ჯერ კიდევ მასწავლებლის მიერ სრულად მართული და მასწავლებელზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის ტენდენციები, ხოლო 2,5 % საერთოდ ვერ ხედავ ბალანსს საკლასო მენეჯმენტში. შედეგები გვიჩვენებს, რომ მიუხედავად 55 % მოსწავლეების რაოდენობისა, რაც საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია, კვლავაც დიდია მაჩვენებელი მასწავლებლის მიერ სრულად მართულობის შემთხვევებისა კლასებში 42,5 %. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ კუთხით, რომ განვითარდეს და აძლიერედეს მოსწავლეზე რიენტირებული სწავლება , კვლავაც მეტია გასაკეთებელი.

რაც შეეხება მასწავლებლების ცნობიერებას მოსწავლეზე ორიენტირებული ტენდენციების განვითარებაში საკლასო მენეჯმენტში და ასევე თვითაქტუალიზების მნიშვნელობის შესახებ მათ ცნობიერების დონის განსაზღვრას. ეს მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 3.2. სადაც გამოყოფილია დედაქალაქის მაწავლებლების და ასევე რეგიონების მასწავლებელების პასუხები.

ცხრილი 3.2 განსაზღვრავს საქართველოს სკოლების (8 სკოლა) მასწავლებლების ცნობიერების დონეს მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტისა და თვითაქტუალიზების აუცილებლობის შესახებ

კატეგორია	მოსწავლეზე ორიენტირებული		მასწ. სრულად მართული		ბალანსის არ ქონა		სრულად	
ლოკაცია	თბილისი	რეგიონები	თბილისი	რეგიონები	თბილისი	რეგიონები	თბილისი	რეგიონები
შედეგი %	71,5	70	28	26	0,5	4	100	100

ცხრილიდან ჩანს, რომ თბილისი მასწავლებლების 71% და რეგიონის მასწავლებლების 70% თვლის, რომ მათი კლასები მოსწავლეზე ორიენტირებულია,

თუმცა მასწავლებელზე ორიენტირებულობის შესახებ პასუხებიც არაა ნაკლები პროცენტულობის მაჩვენებელი, დედაქალაქის 28% და რეგიონების 26% მასწავლებელები თვლიან , რომ მათ კლასებში მასწავლებელზე ორიენტირებულობის ტენდენციებია, ბალანსის არ ქონას რაც შეეხება დედაქალაის 0,5% და რეგიონების 4% თვლის , რომ მათ კლასებში არაა მკვეთრად გამოხატული ბალანსი. ეს შედეგებიც ისევე როგორც ის შედეგები, რაც წარმოდგენილი იყო ცხრილში 3.2. მეტყველებს იმ აუცილებელ ქმედით ნაბიჯებზე, რომელთა გადადგმაც მნიშვნელოვანია მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის ტენდეციების განვითარებისათვის.

ცხრილი 3.3. გვიჩვენებს დედაქალაქის კერძო სკოლიდან მიღებულ შედეგებს, რომელიც მოპოვებულია ექსპერიმენტის შემდგომი გამოკითხვიდან და აღნიშნავს ამ შედეგების სტატისტიკურ ანალიზსს როგორც თბილისის, ასევე გორის სკოლების ექსპერიმენტულ ჯგუფებში.

ცხრილი 3.3. მოსწავლეთა თვითაქტუალიზების დონის განმსაზღვრელი სრული სტატისტიკური ანალიზი (ექსპერიმენტის ფარგლებში)

Pair 1	Mean	N	Std. Dev.	St. error
Var 1 Var 2	3.37 1.50	4 4	0.278 0.57735	1.39 0.28868

კორელაცია

	N	Correlation	Sig
Pair: Var1 & Var2	4	0.437	0.563

სტატისტუკური მაჩვენებლები და სხავაობები

	Paired Differences							
	Mean	Std. Dev.	Standard Error Mean	95% Confidence interval of the Difference		T T	Df Df	Sig (2-tailed) Sig (2-tailed)
	Mean	Std. Dev.	Standard Error Mean	Lower	Upper	T	Df	Sig (2-tailed)
Pair: Var1 & Var2	1.87000	0.52006	0.26003	1.04246	2.69754	7.191	3	0.006

ცხრილიდან ჩანს, რომ კორელაცია თვითაქტუალიხების დონესა (ცვლადი 1) და იმ მიდგომებს შორის (მასწვალებელზე ორიენტირებული საწინააღმდეგოდ მოსწავლეზე

ორიენტირებულობასთან ცვლადი 2) ასახავს საშუალო დადებით კორელაციას ამ ორ ცვლადს (1 და 2) შორის. გარდა ამისა, გვაქვს ასევე 95% დამაჯერებელი სხვაობა ($p=0.006<0.05$), რაც წარმოაჩენს თვითაქტუალიზების დონის მაღალ პოზიტიურ ცვლილებას ექსპერიმენტის წინა და ექსპერიმენტის შემდგომი გამოკითხვის შედეგების მიხედვით. იმავე პრინციპითაა დაანგარიშებული მონაცემები ექსპერიმენტში მონაწილე მეორე, გორის საჯარო სკოლიდან მიღებული შედეგებიც. ყველა შედეგი ადასტურებს და მეტყველებს ექსპერიმენტის ეფექტურობასა და ექსპერიმენტული ჯგუფების უკეთეს მაჩვენებელზე და იმ სტატისტიკურად უკეთეს პოზიტიურ ცვლილებაზე , რაც არის ექსპერიმენტის წინა და შემდგომი გამოკითხვის შედეგებს შორის.

დასკვნა და რეკომენდაციები

კველვის მიზანი იყო განგვესაზღვრა და შეგვექმნა ოპტიმალური პირობები საშ. სკოლის მოსწავლეების თვითაქტუალიზებისათვის მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის პირობებში. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა კონკრეტული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რომელთა შესრულებაც გაწერილია და დაგეგმილია დისერტაციის კველვის ყოველი ეტაპის გავლის პროცესში. ეს სამოქმედო გეგემა, რომელიც ფასილიტატორ მასწავლებელს საშუალებას აძლევს მიაღწიოს მოსწავლეთა თვითაქტუალიზებას და შექმნას ამისათვის შესაბაისი პირობები, მდგომარეობს შემდეგში:

- მოსწავლეების მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, შეირჩეს შესაფერისი სასწვალო სტრატეგია;
- შეირჩეს ოპტიმალური სამოქმედო გეგმა, რომელიც იქნება რელევანტური და მისაღები კლასის თითოეული მოსწავლისათვის;
- განისაზღვროს და ამოქმედდეს ყველა ის სასწავლო სტრატეგია, ტექნიკა და პრაქტიკა, რაც შედეგზე იქნება ორიენტირებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითაქტუალიზების დონის გაზრდას და შენაჩუნებას.

თუ დავეყრდნობით კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს, პირველად და მეორად მონაცემებს,ყველა იმ მოპოვებულ და გამოყენებულ მასალას, რაც თემის აქტუალობასთან ახლო კავშირშია, იმ შედეგებს რაც მოპოვებულია

გამოკითხვებიდან, ექსპერიმენტის ჩატარებისა და დაკვირვებიდან, წინა და შემდგომი ექსპერიმენტის გამოკითხვიდან, თვისობრივი კვლევის შედეგებიდან მიღებულ ანალიზს, გავითვალისწინებთ ასევე საკვლევ ობიექტს, კველვის მიზანს და საკვლევ კითხვებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ საკვლევ კითვებს პასუხი გაეცა:

1. **მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის რა ფაქტორებს გააჩნიათ ფასილიტატორულ როლი მოსწავლეთა თვითაქტუალიზებაში?** - ლიტერატურის მიმოხილვამ და ანალიზმა გამოავლინა ის ფაქტორები, რაც ახდენს ზეგავლენას მოსწავლეთა თვითაქტუალიზებაზე: ინტრა და ინტერ პერსონალური ასპექტები, თვითმიმღებლობა და თავდაჯერებულობა, მოსწავლეთა ცნობიერება საკუთარი სასწავლო პასუხისმგებლობისა და როლის მიმართ, მათი უნარი იყვნენ ღია და გახსნილი ნებიესმიერი გამოწვევისა და ახალი გამოცდილების მიმართ, მზაობის უნარი მიიღონ დახმარება და ასევე თავად დაეხმარონ.
2. **რა როლი აქვს სკოლას და საკლასო მენეჯმენტს მოსწავლეთა თვითაქტუალიზებაში?** ლიტერატურის მიმოხილვისა და მის ანალიზზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანაედროვე განათლების როლი, ხედვა და მიმართულება მნიშვნელოვნად შეიცვალა. დღევანდელი განთლების მესვეურნი უფრო მეტად ფოკუსირებულნი არიან მოსწავლეების მოთხოვნებსა და მათი სურვილებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის სასწავლო პროცესის ფარგლებში, ვიდრე ის, რომ მხოლოდ შეასრულონ ტრადიციული სწავლების მეთოდებით გათვალისწინებული ვალდებულებები. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა ხაზს უსვამს მოსწავლის აქტიურ როლს სწავლის პროცესში, სადაც ის მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის ფარგლებში არა მხოლოდ ისწავლის და იქნება თვთაქტუალიზებული, არამედ ამ პროპცესიდან ის (მოსწავლე) მიიღებს სიამოვნებას და ექნება გაცნობიერებული საკუთარი როლი, ადგილი და პასუხისმგებლობა ამ პროცესში.

როგორც თვისობრივმა კვლევამ (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ) აჩვენა, ორივე მოსწავალეც და მასწავლებელიც გამოხატავს მზაობას იყვნენ უფორ თვითაქტუალიზებულნი და ჰქონდეთ უფრო მაღალი ცნობიერება მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯემენტის აუცილებლობის შეახებ.

3. **არის თუ არა ფასილიტატორული სწავლება მოსწავლეების თვითაქტუალიზებისათვის ხელშემწყობი ფაქტორი?**

იმისათვის, რომ მართო მოსწავლეზე ორიენტირებული კლასი, მასწავლებელს მოეთხოვება არა მხოლოდ ის, რომ იყოს ფასილიტატორი მასწავლებელი, არამედ იცოდეს მენეჯერული სტრატეგიები, განავითაროს ლიდერობისა და მენეჯერის თვისებები და იყოს ტრანსფორმატიული მენეჯერი და ლიდერი, რომელიც გაუძღვება კლასს და მოსწავლეების აქტიური ჩართულობით შექმნის შესაფერის თანამედროვე საკლასო გარემოს, რომელიც იქნება ფსიქოლოგიურად უსაფრთხო და წამახალისებელი მოსწავლეებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში არჩევანის თავისუფლებას და მათი როლის ხაზგასმას საკლასო მენეჯმენტის პროცესში. ამის შესახებ მზაობა და სურვილი გამოიკვეთა იმ პასუხებშიც, რაც მივიღეთ თვისობრივი კვლევის შედეგებიდან (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ) მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან ესქპერიმენტულ ჯგუფებში.

4. **რა ურთიერთკავშირი არსებობს თვითაქტუალიზებასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას შორის?**

თვითაქტუალიზება, რომელიც ეფუძვნება ჰუმანსტური განათლების იდეებს და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, აზრობრივად და კონცეპტუალურად ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, რადგანაც მათი საერთო პრინციპიესაა, ინტერესის მაქსილამური ფოკუსირება მოახდინო მოსწავლეზე, უზრუველყო მოსწავლის არჩევანის თავისუფლება, შექმნა პირობები მოსწავლის პოტენციალის აღმოჩენსა და განვითრებსათვის. ეს ურთიერთკავშირი განათლების ამ ორ მიდგომას შორის ასევე განხილულ და გაზომილ იქნა იმ კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რაც ჩატარდა ექსპერიმენტის წინა და შემგდომ გამოკითხვებზე, მათ შორის საშულო პოზიტიური კორელაცია

გახლავთ 0,437 და 0,612 თბილისისა და გორის (ექსპერიმენტში მონაწილე სკოლები) სკოლებში თანადროულად. რაც შეეხება იმ აუცილებელ ფაქტორებს, რაც ახლავს თვითაქტუალიზებასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ საკლასო მენეჯემენტს, პასუხების მიხდვით **თანხმობა და ძლიერი თანხმობა** გაცილებით მეტი იყო ვიდრე პირიქით (0,822 და 0,514 თბილისისა და გორის სკოლებში თანადროულად).

კვლევის ჰიპოთეზა გახლდათ: თუ თვითაქტუალიზებული მასწავლებლები გაცილებით ხშრად და მიზანმიმართულად გამოიყენებდნენ მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის სტრატეგიებს საგაკვეთილო პროცესში (შეთავაზებული მოდელის ამოქმედების პირობებში) ეს იძლევა დიდ შანსს რომ მიღწეულ იქნას მოსწავლეთა თვითაქტუალიზების მაღალი დონე, რაც დადასტურდა იმ მოპოვებული შედეგების სტატისტიკური ანალიზით, რასაც ადგილი ჰქონდა მთლიანი კვლევის პროცესში. თვითაქტუალიზების დონე ექსპერიმენტულ ჯგუფებში ექსპერიმენტის ჩატარებამდე და შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა (3,17→3,78 და 3,1→3,5) ვიდრე საკონტროლო ჯგუფებში, თუმცა ზრდა აქაც გვაქვს (3,24→3,25 და 2,4→3,1). ეს შედეგები ამყარებს ჰიპოთეზას.

5. **უწყობს თუ არა ხელს მრავალფეროვანი ფასილიტატორლი სასწავლო მეოთედებისა და სტრატეგიების გამოყენება სწავლების პროცესში მოსწვალეთა თვითაქტუალიზებას?**

იმისათვის, რომ ეფექტური საკლასო მენეჯმენტი წარიმართოს მასწავლებელი ირჩევს არა მხოლოდ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, არამედ ამ მიდგომისათვის საჭირო და აუცილებელ ყველა პრაქტიკასა და გამოცდილებას. მდგრადი მენეჯმენტი და კოოპერატული დისციპლინა ის ერთ-ერთი მეთოდებია, რაც ზუსტად იმ სახის გარემოს შექმნაში ეხმარება მასწავლებელს, რასაც სუტუდენტზე ორიენტირებულობა და მოსწავლეთა თვითაქტუალიზებისათვის საჭირო გარემოებები ითვალისწინებს: უსაფრთხოება, მიმღებლობა საკუთარი თავის და თანაკლასელების, მოსწალეთა სოციუმის შექმნა, კულტურულად გულისხმიერი დამოკიდებულება,

წახალისება, იპოვონ საკუთარი თავი და დაინახონ საკუთარი როლი საკლასო მენეჯმენტის პროცესში, გაითავისონ საკუთარი პასუხისმგებლობა და იყვენენ კოოპერატიული, თანამშრომლ და კომუნიკაბელური.

მოსწავლეთა რეზისტენტულობა არის ის შემაფერხებელი ფაქტორი, რაც ერთ-ერთ გამოწვევად შეიძლება ჩავთვალოთ მოსწავლეზე ორიენტიებული სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელებაში. ეს გამოწვეულია იმ გაუცნობიერებელი შიშით მოსწვალეების მხრიდან, როდესაც ისინი მიუხედავად იმ შანსის არსებობისა, რომ შეუძლიათ გააკეთოდ თავისუფალი არჩევანი, გაურბიან პასუხისმგებლობას პირად გადაწყვეტლებებზე, ურჩევნიათ ძველი ტრადიციული მეთოდი, სადაც მათ საკუთარი პასუხისმგებლობა მინიმალურად აქვთ გამოხატული და პასიურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, ასრულებენ არა აქტიური, არამედ პასიური მსენელის როლს და პირდაპირ მიჰყვებიან მასწავლებლის დირექტივას. იმისათვის, რომ მოეხსნათ მოსწავლეებს ის სტრესი და დაძაბულობა, რაც მათ ექმნებათ გაუცნობეირებლობასა და წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების დროს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომის გახორციელებისას, სასურველია გათვალისწინებული იყოს შემდეგი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა:

- უზრუნველყოფილნი იყვნენ მოსწავლეების მუდმივად თანამშრომლურ გარემოში ყოფნით;
- ხორციელდებოდეს მუდმივი დაკვირვება და ამის პრაქტიკულად გამოხატვა (კითხვარის შევსება და ა.შ.) რომ გაგდგინეს, თუ რა სჭირდებათ მოსწავლეებს;
- უზრუნველვყოთ მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და გამოვუმუშავოთ მათ, იყვნენ დამოუკიდებელნი გადაწყვეტილებების მიღებაში სასწავლო პროცესში იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელია;
- მუდმივად ვცვალოთ და გავამრავალფეროვნოთ სასწავლო აქტივობები
- ვუზრუვნელყოთ გუნდურობის პრინციპის დანერგვა და განვითერება

- ვიყოლიოთ პროფესიულად გადამზადებული და გამოცდილი მასწავლებლები;
- გვქონდეს მუდმივი და ჯანსაღი კომუნიკაცია მშობლებთან;
- შეიქმნას მისაღები და პოზიტიური ატმოსფერო მასაწავლებელსა, მოსწავლესა და მშობელს შორის.

6. **როგორია საქართველოს სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების დონე მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯემენტის და თვითაქტუალიზების აუცილებლობის მნიშვნელობაზე?**

მოსწავლეზე ორიენტირებულობა და თვთაქტუალიზებულობა გულისხობს მასწავლებლის ისეთი იმიჯის შექმნას, რომელიც ღიაა ნებისმეირ სიახლის მიმართ, არის მოტივირებული და ასევე აძლევს მოსწავლეებსაც მოტივაციას, იცავს ძალთა გადანაწილებისა და კონტროლის ბალანსს, ახალისებს მოსწავლეებს გაიაზიარონ და აიღონ საკუთარი სასწავლო პასუხისმგებლობა, ანაწილებს და გადასცემს სასაწვლო მასალას მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუვნელყოფს მათ აქტიურ მონაწიელეობას საგანმანათლებლო პროცესში. არის გარანტი მოსწავლეებისათვის ყველაზე მნიშველოვანი სურვილისა, ჰქონდეთ არჩევანის თავისუფლება და გადაწყვეტილების მიღების დამუკიდებლობა. ამ ფაქტორებს და იმასაც, რომ მოსწავლეების ძირითადი და საერთო მოთხოვნა დავკმაყოფილოთ, იყვენენ თვითრეალზებულნი, პასუხი გაეცა კვლევის პირველ ეტპზე განხორციელებული გამოკითხვის რიგით 20 - ე შეკითხვის მეშვეობით*: "მოსწავლეებს აქვთ კარგად გაცნობიერებული საკუთარი როლი საკალსო ცხოვრებაში და ასევე მათ პირად სამომავლო ცხოვერაბში".* მოსწავლეთა 54% და მასწავლებელთა 67%-მა პასუხი დადებითად გასცა (ეთანხმებოდნენ ან ძლიერ ერთანხმებოდნენ).

7. **არის თუ არა ეფექტური და გარანტირებული გზა მოსწავლეთა თვითაქტუალიზებათვის ის, რომ მოსწავლეებმა განავითარონ დამოუკიდებელი მოსწავლის უნარები, პიროვნულად განვითარდნენ და იყვნენ თვითმართულნი სწავლის პრცესში.**

ვეყრდნობით რა, იმ ანალიზს რაც გაკეთთდა მიღებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე (რაოდენობრივი და თვისობრივი) ცხადი ხდება ის ფაქტი, რომ მოსწავლეებშიდამოუკიდებელი მოსწავილს და ავტონომიურობის უნარების განვითარება პირდაპირ კავშირშია მათ თვითაქტუალიზებასთან და პირიქით.

8. **როგორია თვითაქტუალიზების დონე მოსწავლეებისა და მასწავლებლებისა საქართველოს სკოლების საშუალო კლასებში?**

ვეყრდნობით რა ლიტერატურის მიმოხილვას, იმ შედეგს რაც მოვიპოვეთ კვლევის პირველ ეტაპზე, რომელიც განსაზღვრავდა მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების დონეს მოსწავლეზე ორიენტიებული საკალსო მენეჯმენტისა და თვითაქტუალიზების აუცილებლობის მნიშვნელობის შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქრთველოს სკოლების მოსწავლეთა 55% პროცენტი და მასწავლებელთა 70% და 71,5% (თბილისი და რეგიონები) ადასტურებს მათ კლასებში მოსწავლეზე ორიენტირებული ტენდენციების განვითარებას, თუმცა დარჩენილი რაოდენობა, რაც ავლენს მასწავლებელთა ორიენტირებულობასაც მეტყველებს იმ ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული ტენდენციები და თვითაქტუალიზების დონე უფრო მეტი პროცენტულობით აისახოს.

განათლება თანამედროვე რეალობაში საკმაოდ მრავალი და მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ტექნოლოგიურად აჩქარებულმა ცხოვრების ტემპმა, რაც ახასიათებს 21-ე საუკუნეს, გარკვეული და განსხავავებული მოთხოვნები წაუყენა საზოგაოების საქმიანობის ნებისმიერ სფეროს და მათ შორის განათლების სფეროს განსაკუთრებით. გახდა აუცილებელი ცვლილებები ადამიანთა მოთხოვნების დასაკმაყოფლებლად, განათლების სფეროში კი გამოიკვეთა საჭიროება ახალი მიდგომების არჩევისა, დანერგვისა და განვითარებისა. ერთ-ერთი მთავარი ასპექტი ამ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის არის გააქტიურებული მასწავლებლები და მოსწავლეები, რომელთაც ექნებათ განვითარებული და მიღებული ყველა ის უნარი და თვისება, რაც საჭიროა თანამედროვე რეალობის გამოწვევებთან გასამკლავებლად. მოსწავლეზე ორიენტირებული ტენდენციები და სამენეჯმენტო მიდგომები

ითვლება ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად, რომელიც განათლებაში უზრუნველყოფს მასწავლებელებისა და მოსწავლეებისათვის ამ უნარებისა და თვისებების განვითარებას, მათ გააქტიურებას და თვითაქტუალიზებას. ამ გზით შესაძლებლობა იმისა, რომ მიღწეულ იქნას მოსწავლეთა სამომავლო თვითრეალიზაცია საკმაოდ მაღალია.

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება საქართველოში საკმაოდ პოპულარული მიდომა ხდება, თუმცა მეტია კვლავაც ამ მიმართულებით გასაკეთებელი.

ექსპერიმენტმა გამოავილნა, რომ არსებობს პოზიტიური კორელაცია მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომასა და მეორეს მხრივ მოსწავლეთა თვითაქტუალიზებსთვის. თუმცა ამ მიმართულების უფრო ეფექტუად წარმართვისათვის საჭიროება კვლავაც არსებობდა, რაც გამოიხატებოდა შესაბამისი გარემობების და ხელშემწყობი ფაქტორების შერეჩევასა და შექმნაში. შესაბამისად, იმისათვის, რომ გვყავდეს უფრო მეტად თვითაქტუალიზებული თაობა, განვავითაროთ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული ტენდენციები საჭიროა შეიქმნას შესაბამისი სასწავლპო პროგრამა. კურიკულუმი და სილაბუსი, საგაკვეთილო გეგმა, სასწავლო მასალა და ეს ყოველივე გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი მთავარი მიზნის მისაღწევად: გავაძლიეროთ მოსწავლეებისათვის თვითაქტუალიზების დონე მოსწავლეზე ორიენტიებული საკალსო მენეჯმენტის პირობებში.

ყველა იმ შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, რაც მოპოვებულ იქნა კვლევის პროცესში, ნათელი გახდა, რომ მოსწავლეებს სჭირდებათ შეიძინონ და განავითარონ სასრგებლო და საჭირო უნარები, რათა პროდუქტიულად გამოიყენონ მიღებლი ცოდნა, იყვნენ უფრო დამოუკიდებელნი და ავტონომიურნი, როგორც მოსწავლეები და როგორც პიროვნებები, ჰქონდეთ მუდმივი სწრაფვა თვითაქტუალიზებისაკენ და სურვილი იყვნენ თვითრეალიზებულნი.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ექსპერიმენტის და კვლევის ყველა ეტაპს ჰქონდა დადებითი შედეგები და იყო ეფექტური, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ შედეგებით, რაც რაოდენობრივი და თვისობრივი

კვლევის პროცესში მივიღეთ პოზიტიურის გარდა ასევე გამოვლინდა მცირე ფაქტები მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებისა ან საერთოდ ბალანსის არ ქონისა/არ არსებობისა კლასებში. გამომდინარე აქედან შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული მოდგომის მიზანმიმართულად გამოყენება და დანერგვა კლასებში ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რომლის შედეგად არსებობს დიდი შანსი და გარანტია იმისა, რომ ეს დადებითად აისახოს მოსწავლეების თვითაქტუალიზებაზე.

ჩატერბულ კვლევებზე და მის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება გაიცეს შემდეგი ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები, რომელნიც საქართველოს საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის თვითაქტუალიზების პროცესს ეფექტურეს ხდის. მოსწავლეზე ორიენტრებული საკლასო მენეჯმენტის განხორციელება მასწავლებლებს დაეხმარება, გაზარდონ მოსწავლეების ცნობიერება ამ მიმართულებით. მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მათ მშობელთა თანამშრომლური და აქტიური ჩართულობა საკლასო ცხოვრებაში, აქტივობებში, საგანმანათლებლო და აღმზრდელობით პროცესში დადებით და ეფექტურ გავლენას იქონიებს მოსწავლეთა თვითაქტუალიზებაში. ამისათვის აუცილებელია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

- შეიქმნას თანამშრომლობაზე დაფუძვნებული ერთობლივი სამოქმედო გეგმა მოსწვალეებისათვის, მასწავლებლებისა და მშობლებსათვის;
- მოტივირება მათი (მოსწავლეების, მასწავლბლებისა და მშობლების) ისწრაფვოდნენ საჭირო და ეფექტური შედეგების მიღებაში;
- გამოიყენონ სხვადასხვა და მრავალფეროვანი აქტივობები კლასში და კლსასის გარეთ;
- განავითარონ საჭირო უნარები დასახული მიზნის განხორციელებისათვის;
- უზრუნველყონ მოსწავლეთა თავისუფალი არჩევანის პირობები;
- ჩამოყალიბდნენ ისეთ მასწავლბლებად, რომელნიც წაახალისებენ და მოტივაციას მისცემენ მოსწავლეებს, განავთარონ მიზანზე ორიენტირებული უნარები, შექმნან და განახორციელონ სამოქმედო გეგემები და იქონიონ ავთენტური და რეალისტური აღქმა ცხოვრებისა;

- იყვნენ აქტუალიზებულიმასწავლებლები და მისცენ შესაძლებლობა მათ მოსწავლეებს თავადაც იყვნენ აქტუალიზებულნი, განავითარონ მოსწავლეებში გუნდური სულისკვეთება და შეიძნონ ის საჭირო უნარები, რომელნიც აუცილებელია მოსწავლეების ცოდნის რეალიზებისათვის;
- მასაწვალბლები იყვნენ კომუნიკაბელურნი, მეგობრულნი, მოტივატორები, სოციალურები და თანამშრომლურები;
- მასწავლებლებმა ჩაატარონ აზრიან გაკვეთილები და დაეხმარონ მოსწავლებს ჰქონდეთ შესაბამისი უნარები, რათა მოახდინონ ცოდნის გამოყენება სათანადოდ.

როდესაც ვსაუბრობთ კონკრეტულ ნაბიჯებზე და მიზნებზე, რათა განვავითაროთ მოსწავლეზე ორიენტირებული საკლსო მენეჯმენტი და გავზარდოთ მოსწავლეებშიებში თვითაქტუალიზების დონე, არსებობს კონრეტული რეკომენდაციები მხოლოდ მასწავლებლებისათვის:

- დადგინდეს მოსწავლეთა საჭიროებები;
- იყვნენ გულისხმიერნი მოსწავლეთა გრძნობებისა და ემოციების მიმართ;
- დაიყოლიო მოსწავლეები, იყვნენ ჩართულნი მიმდინარე საკლასო ცხოვრებაში;
- წაახალისონ მოსწავლეები დაგეგმონ, ორგანიზება გაუკეთონ და განსაზღვრონ სამომავლო ნაბიჯები;
- ჰქონდეთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, უზრუნველყონ საკლსაო საათები კლასის და კლასის გარეთ;
- გასცენ შესაბამისი უკუკავშირი და შეაფასონ მოსწავლეები მათი საქციელისა და მიღწევებისათვის;
- გააძლიერონ მოსწავლეთა თავდაჯერებულობის დონე;
- იმოქმედონ დაბალანსირებულად, როგორც მასწავებელმა და ამასთანავე როგორც მეგობარმა;
- იყვნენ მოქნილნი და ნოვატორულნი.

განთლების ერთ-ერთი მთავარი როლი გახლავთ აღმზრდელობითი ფუნქციაც, დახმარება ახალგაზრდა თაობისა, რომ აღმოაჩინონ საკუთარი შესალებლობები, პოტენციალი და საკუთარი თავი, დასახონ სამომავლო ეგმები და იყვნენ მუდმივად

თვითაქტუალიზებულნი. ამ ფონზე ჩნდება გარდაუვალი აიცილებლობა იმ საჭირო, შესაფერისი და აუცილებელი მენეჯმენტის განხორციელებისა კლასებში, რაც განავითარებს და უზრუნველყოფს იმ მთავარი კონცეფციის განვითარებას, რაც არის დისერტაციის მთავარი არსი.

მოსწავლეებში პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესი შესაძლებლობას აძლევს მათ (მოსწავლეებს), იყვნენ მზად 21-ე საუკუნის გამოწვევებთან შესახვედად, გამოიყენონ საკუთარი ცოდნა და რეალიზება მოახდნინონ არა ხოლოდ მიღებული ცოდნისა არამედ საკუთარი თავისაც. ამ შედეგბისა და ამ პროცესის წარმატებით განსახორციელებლად მოსწავლეთა თვითაქტუალიზება მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო მენეჯმენტის პირობებში ერთ-ერთ ხელშემწყობ/ფასილიტატორულ მიდგომად ითვლება.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Tvaltchrelidze, N. & Aleksidze, N. (2019). Georgian teachers' awareness of the importance of student-centered classroom management tendencies. International Journal of Social Sciences & Educational Studies. ISSN 2520-0968 (Online), ISSN 2409 -1294. Vol.5. pp.207-217.
2. Tvaltchrelidze, N. & Aleksidze, N. (2019). Exploring the student-centered classroom management and self-actualization tendencies in Georgian classrooms .Journal of Education in Black Sea Region.Vol. 4, Issue 2. pp. 160-171.
3. Tvaltchrelidze, N. & Aleksidze, N. (2019). Self-actualized teachers enhance students' learning responsibilities by creating student-centered classroom management (Georgian Case). The 9-th International Research Conference on Education, Language and Literature. Proceedings. ISSN: 2298-0180 / e - ISSN: 2587 - 472.pp.321-329.
4. Aleksidze, N. (2018). Student-centered teacher as a facilitator to enhance the learners' self-actualization. The 8-th International Research Conference on Education, Language and Literature. Proceedings. ISSN 2298 - 0180, E-ISSN: 2587- 4721. pp.330-344.
5. Aleksidze, N. (2017). The Role of person-centric education in developing the learners'' human potential.The 7-th International Research Conference on Education, Language and Literature. Proceedings. ISSN 2298 - 0180. pp. 569 – 575.

6. Aleksidze, N. (2017).The Role of the Education in Acquiring the Knowledge of Human Rights. 12-th International Silk Road Conference on Contemporary Challenges of Democracy and Human Rights th rough Politics and Security. Proceedings. ISBN 978-9941- 8-1037 - 4. p.70.